პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 229 (4223)

1970 წ. 22 ნოემბერი. კვირა. ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

# დიდი კალათბურთი დაიწყო!

## მწვრთნელები აზრებს გვიზიარებენ



ცსკა-სა და მოსკოვის „დინამოს“ კალათბურთელ ვაჟთა გუნდების გუშინწინდელი მატჩით სტარტი მიეცა XXXVIII საკავშირო ჩემპიონატს, რომელშიც ჩვენი რესპუბლიკა ორი კოლექტივით—თბილისის „დინამოთი“ და „ბურევესტნიკითაა“ წარმოდგენილი. დინამოელთა პირველი გამოსვლა კაუნასში შედგება, „ბურევესტნიკი“ კი მოსკოვში სსრ კავშირის ჩემპიონს ცსკა-ს შეხვდება. ამას წინათ ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ნ. გუგუშვილი შეხვდა ორივე გუნდის მწვრთნელებს ო. ქორქიასა და მ. კეკელიძეს. ქვემოთ ვაქვეყნებთ მათი საუბრის ტექსტს.

### „ლელო“ ინტერვიუ

### ო. ქორქია: „დინამომ“ უნდა დაიბრუნოს თავისი სტილი“

● კალათბურთის გულშემატკივრებისთვის ცნობილია, რომ „დინამო“ თაობათა ცვლის საკმაოდ მტკივნეული პრობლემის წინაშე დგას. ეს სავსებით ბუნებრივი პროცესია, რომელსაც ყველა კოლექტივი თავისებურად უხდის ხარკს. რას ფიქრობთ თქვენ, როგორც გუნდის მწვრთნელი და ძველი დინამოელი, ამის თაობაზე? როგორ უნდა დააღწიოს თავი „დინამომ“ ამ უსიამოვნო პროცესს?

— გუნდის გაახალგაზრდავებისთვის ზრუნვა მთავარი სადღეისო ამოცანაა. ვეტერანებმა კოლექტივის წინაშე ვალი უმთავრესად მოიხადეს, მაგრამ მათ მდიდარ გამოცდილებას მაინც შეუძლია გარკვეული როლის შესრულება. ეს ყველას კარგად აქვს შეგნებული, ყველაზე მეტად კი თვით ვეტერანებს. ამიტომაც ახალ ჩემპიონატს ისინი ახალგაზრდებზე ნაკლები ენთუზიაზმით როდი ხვდებიან. მაგრამ წლებს მაინც თავისი მიაქვს და ერთ მშვენიერ დღეს აუცილებლად დადგება კრიტიკული ზღვარი. ყველაზე კარგი გამოსავალი, რა თქმა უნდა, ისაა, თუ ვეტერანები თვითონ იზრუნებენ ამ პროცესის ხანგრძლივობის შემცირებისთვის და ხელს შეუწყობენ ანსამბლში ახალგაზრდობის ორგანულ შერწყმას...

● ამასთან დაკავშირებით, განზრახული ხომ არა გაქვთ გუნდის თამაშის გარეგნული სურათის შეცვლა?

— სიტყვა „შეცვლა“ ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, უადგილოა. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ „დინამომ“ უნდა დაიბრუნოს თავისი ადრინდელი, ბრძოლებში ნაცადი და გამობრძმედილი სტილი — აგრესიული, სწრაფი და ცეცხლოვანი თამაშის სტილი.

● ეს, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ რამდენად რეალურია „დინამოს“ დღევანდელი შემადგენლობისთვის ამ გეგმის განხორციელება?

— ჩვენი განზრახვის რეალურობას ჩვენივე კალათბურთელთა ხასიათი განაპირობებს. ოღონდ ერთი რამ არ უნდა დაგვავიწყდეს — ამ ხასიათს სწორი გზით წარმართვა სჭირდება.

(დასასრული მე-3 გვ.).

## მათი პირველი სიტყვა

დიდი კალათბურთის პრემიერას მოსკოვში მხოლოდ 600 კაცი დაესწრო. მატჩზე დასწრების მსურველთა რიცხვი კი გაცილებით მეტი ყოფილა, მაგრამ არმიის ცენტრალური სპორტკლუბის კამერული დარბაზი ამდენ მაყურებელსაც ძლივს იტევს. სხვა, უფრო დიდ და კომფორტაბელურ ასპარეზს კალათბურთისთვის მოსკოველები, როგორც ჩანს, ვერ იმეტებენ. მათი ნებაა, ჩვენ კი იმითაც კმაყოფილი ვართ, რომ XXXVIII ჩემპიონატის პრემიერა ცენტრალურმა ტელევიზიამ პირველ პროგრამაში ჩართო.

მაშ ასე, ჩემპიონატის პირველი მატჩი მოსკოვის ცსკა-სა და „დინამოს“ შორის:

მატჩის დაწყების მაუწყებელი პირველი სასტვენი საერთაშორისო კატეგორიის მსაჯებმა ვ. კასატიკოვმა და ო. კამიშევმა მისცეს.

პირველი ბურთი მეტოქის კალათში თამაშის პირველ წუთზე მოათავსა მოსკოვის დინამოელმა ხარჩენკოვმა.

პირველი ჯარიმა მე-4 წუთზე ზუსტად გამოიყენა ასევე დინამოელმა სოკოლოვმა.

პირველი წუთშესვენება მე-7 წუთზე დინამოელთა მწვრთნელმა ე. გომელსკიმ აიღო.

პირველი მოთამაშე, რომელმაც 5 პერსონალური შენიშვნის გამო დატოვა მოედანი, არმიელი კოვირკინი იყო.

სიტყვამ მოიტანა და უნდა ვთქვათ, რომ ჯარიმა ამ დღეს თავსაყრელი იყო, ორ მატჩს რომ ეყოფოდა, იმდენი. მოედანი დროზე ადრე დატოვეს კოვირკინმა, ედეშკომ, გილგნერმა, ჟარმუხამედოვმა (ყველა — ცსკა), სოლოგუბმა, სიდიაკინმა, სოკოლოვმა (ყველა — „დინამო“), მაგრამ იმ კალათბურთელებსაც, ვინც დიდის ვაივაგლახით მიაღწია მატჩის ბოლომდე, ყოველ წუთს გაგდება ემუქრებოდათ. ერთი სიტყვით, ნერვიულობის გამო იყო თუ სასტარტო ციებცხელების მიზეზით, პრემიერა ამ დღეს ცუდად ჩატარდა.

თუმცა, მიზეზი, შესაძლოა სხვაც იყო. მაგალითად, მკვეთრად განახლებულ შემადგენლობებს, როგორც ჩანს, არა აქვთ ერთიანი ანსამბლის სახე მიღებული, სხვადასხვა კლუბიდან მოსულმა მოთამაშეებმა ჯერ ვერ მონახეს საერთო ენა და ხასიათი. ამიტომაც იყო შეცდომები, დარღვევები, შენიშვნები.

რა შეიძლება ითქვას შემადგენლობებზე? ცსკა-მ, რომელსაც მუდამ კარგად ჰქონდა რეზერვის საქმე, 3 წამყვანი მოთამაშე დაუთმო „დინამოს“ (სიდიაკინი, ბლიკი, ხარჩენკოვი). არმიელებს, თავის მხრივ, შევსება მეორე ჯგუფის გუნდებიდან მიუღიათ. ამას ყურადღებას ალბათ არც მივაქცევდით, ახალწვეულები სსრ კავშირის ნაკრების წევრები რომ არ იყვნენ (ტაშკენტის „ბურევესტნიკის“ ყოფილი მოთამაშე ე. კოვალენკო და მისი მინსკელი თანაკლუბელი ედეშკო). როგორც ჩანს, ცსკა მაინც ცსკაა და იგი თავის ტრადიციას არასდროს უღალატებს. სსრ კავშირის ჩემპიონის შემადგენლობაში წლეულსაც ჩვენი ქვეყნის წამყვანი საკალათბურთო ძალებია თავმოყრილი.

ამის მიუხედავად, გუშინწინდელი მატჩის სანახაობრივი მხარე ძალზე დაბალი იყო. მართალია, არმიელები მეტოქეებს საკალათბურთო ხელოვნების ყველა პუნქტში სჯობდნენ (სროლების სიზუსტე, დაცვის საიმედოობა, ფარის ქვეშ ბრძოლა, საჯარიმო სროლები), მაგრამ ვერაფრით ვერ მოახერხეს თავიანთი უპირატესობის მთლიანი და ეფექტური რეალიზაცია. ცსკა-მ, რომელიც ფაქტიურად მთელ თამაშს იგებდა, ბოლო წუთზე კინაღამ მოიტეხა კისერი.

ახალი სეზონის პირველი მატჩი შედგა. სატურნირო ცხრილში ორი უჯრა შეივსო. არმიელებმა საკმაოდ ძნელი, მაგრამ საპატიო გამარჯვება მოიპოვეს — 79:78 (43:36). გაცილებით იოლად მოაგვარეს საქმე ცსკა-ს დუბლიორებმა: მათ დიდი ანგარიშით (105:88) დაამარცხეს მეტოქე და ასევე პირველი ქულა ჩაიწერეს ახალ სატურნირო ცხრილში.

დაბოლოს, რამდენიმე სიტყვა მათზე, ვინც ამ დღეს ძირითად შემადგენლობებში ითამაშა. ცსკა — ედეშკო, მილოსერდოვი, ს. ბელოვი, კოვირკინი, ჟარმუხამედოვი, გილგნერი, კაპრანოვი, ანდრეევი, ე. კოვალენკო, კულკოვი, ილიუკი; „დინამო“ — სოკოლოვი, ავრაამოვი, ბოლოშევი, ხარჩენკოვი, ბლიკი, ციზმანი, სიდიაკინი, სოლოგუბი, პეტროვი, კოროლიოვი.

ნ. ახვლედიანი.

## საქმეები დღევანდელი და ხვალინდელი

მოსკოვი, 20 ნოემბერი. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიამ დღეს განიხილა პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების სპორტული და თავდაცვით-მასობრივი მუშაობის საკავშირო დათვალიერებისა და ფიზკულტურასა და სამხედრო-ტექნიკურ მომზადებაში კომკავშირელთა და ახალგაზრდობის გამოცდის შედეგები. ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ამ ღონისძიებაში მილიონობით ჭაბუკმა და ქალიშვილმა მიიღო მონაწილეობა. ამ ხნის განმავლობაში გაცილებით ეფექტურად იყენებდნენ სტადიონებს, აუზებსა და სპორტულ დარბაზებს. ახალგაზრდობის აქტიური მონაწილეობით მწყობრში ჩადგა ასობით ახალი სპორტული ნაგებობა.

კოლეგიაზე აღინიშნა უკრაინის, ბელორუსიის, სომხეთის, ლიტვის, ესტონეთის, ბაშკირეთის, თათრეთის, ჩეჩენო-ინგუშეთის, მოსკოვის, ლენინგრადის, ვოლგოგრადის, კურგანის, ამურის, კემეროვოს, კიროვსკის, კურსკის, კალუგის, სვერდლოვსკის, ანდიჟანის, გურიევის და აღმოსავლეთ ყაზახეთის ოლქების, აგრეთვე, მოსკოვის, ჩელიაბინსკის, ხარკოვისა და კრასნოიარსკის პროფკავშირული, კომკავშირული, ფიზკულტურული და თავდაცვით-სპორტული ორგანიზაციების დიდი შრომა დათვალიერება-გამოცდის ჩატარებაში.

სხდომაზე განიხილეს „მზად ვარ შრომისა და სამშობლოს დაცვისთვის“ კომპლექსის პროექტი, რომელიც მალე საზოგადოებრიობის ფართო განხილვის საგნად იქცევა.

კოლეგიამ განიხილა და დასახა ველოსპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებები სსრ კავშირში, მოისმინა ინფორმაცია ბელორუსიის ორგანიზაციების მიერ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატთა მომზადების გეგმის შესრულების თაობაზე.

ამ სხდომაზე სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიენიჭათ სამბოში ევროპის მრავალგზის ჩემპიონებს ვ. პოკატაევსა (სარატოვი) და ს. სუსლინს (ლენინგრადი), სსრ კავშირის 12-გზის ჩემპიონს რიკაობაში ა. რიაბცევს (მოსკოვი), ცნობილ მთამსვლელს პ. ბუდანოვს (ლენინგრადი); სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელისა — ნ. ვეჩირკოს (კარჭაპით ნიჩბოსნობა, სევასტოპოლი), ა. პერეკალსკის (ფარიკაობა, მოსკოვი) და ტანვარჯიშში მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ლ. ტურიშჩევას მწვრთნელს ვ. რასტოროცკის (გროზნო).

## ახლა — ფინალი

ტალინი, 20 ნოემბერი. სოფლის სპორტსმენთა საკავშირო თამაშებში მოასპარეზე ფრენბურთელებს ახლა საშუალედო ფინიში აქვთ: პიარნუსა და ვილიანდიში დამთავრდა შეჯიბრებები ქვეჯგუფებში.

ფინალის საგზურები მოიპოვეს: ქალთა შორის — ტაჯიკეთის, თურქმენეთის, უკრაინის, ესტონეთის, ლატვიისა და აზერბაიჯანის გუნდებმა; ვაჟთა შორის — რსფსრ-ს, ესტონეთის, საქართველოს, ლიტვის, უკრაინისა და უზბეკეთის კოლექტივებმა.

ჩემპიონები 25 ნოემბერს გამოვლინდებიან ვილიანდიში.

## დღეს

თბილისში სტუმრად იმყოფებიან ერაყის კალათბურთელი ვაჟები. დღეს ისინი ამხანაგურ მატჩს გამართავენ ადგილობრივ სპორტსმენებთან — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდთან. მატჩი ლენინის სახელობის დარბაზში დაიწყება 20 საათზე.

კალათბურთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ორი საფეხურით მაღლა




**გუშინწინ** თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლში გაიმართა საქართველოს დოსაафის აქტივის კრება, რომელმაც იმსჯელა სპორტის ტექნიკური სახეობების V საკავშირო სპარტაკიადაში საქართველოს დელეგაციის მონაწილეობის შედეგებზე.

მოხსენებით გამოვიდა დოსაафის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გ. შვანგირაძე. მან აღნიშნა, რომ საქართველოს დოსაафელებმა საკავშირო სპარტაკიადაში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს — წინა სპარტაკიადასთან შედარებით საერთო გუნდურ ჩათვლაში ორი საფეხურით დაწინაურდნენ და V ადგილი დაისაკუთრეს. ითქვა ცალკეულ სახეობებში მოპოვებულ კარგ შედეგებზე, ნაკლოვანებებზე...

კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ ავტო-მოტოსპორტის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრი თ. დავითაშვილი, რადიოსპორტის ფედერაციის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დ. ლომიძე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ი. გამრეკელი, ვ. კარპოვი, სპორტის ოსტატი გ. თვაური...

სსრ კავშირის დოსაафის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, თადარიგის გენერალ-მაიორმა ა. სკვორცოვმა საქართველოს დოსაафელებს სპორტის ტექნიკური სახეობების საკავშირო სპარტაკიადაში V ადგილის მოპოვებისთვის გადასცა დოსაафის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი დიდი სპეციალური პრიზი. საკავშირო სპარტაკიადის პრიზიორები და მათი მწვრთნელები სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

**სპორტის** ტექნიკური სახეობების V საკავშირო სპარტაკიადამ ძნელი და გრძელი გზა განვლო. ამ მეტად საინტერესო, გამოყენებითი სახეობების წარმომადგენლებმა, რომლებიც პირველობისთვის შვიდ თვეს იბრძოდნენ, ასპარეზობა პოლტავაში მოტოკროსში გამართული ტურნირით დაამთავრეს. შედეგები საბოლოოდ შეჯამდა. პრიზები და მედლები განაწილდა. ახლა დოსაафის რესპუბლიკური და საქალაქო კომიტეტები, გუნდების ხელმძღვანელები შედეგებს აანალიზებენ და შემდგომი მუშაობის გზებს სახავენ.

ამ უდიდესმა კომპლექსურმა ღონისძიებამ — სპორტის ტექნიკური სახეობების საკავშირო სპარტაკიადამ სტარტი აპრილში აიღო. პროგრამით გათვალისწინებულ 28 სახეობაში შეჯიბრებები ჩვენი ქვეყნის ბევრ სხვადასხვა ქალაქში გაიმართა. საერთო კომპლექსურ ჩათვლაში მთავარი პრიზისა და ცალკეულ სახეობებში დაწესებული გარდამავალი თასებისთვის იბრძოდნენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის დოსაафის ორგანიზაციების საუკეთესო ავტომობილისტები, მოტოციკლისტები, პარაშუტისტები, მფრინავები, მოდელისტები...

სპარტაკიადამ მიზანი გაამართლა: სპორტის გამოყენებით სახეობებში სსრ კავშირის IV სპარტაკიადის შემდეგ მომხდარი ძვრები თვალსაჩინოა. შეჯიბრების პირველ ეტაპზე გამართულმა ტურნირებმა მილიონობით ახალბედა მიიზიდა — სამოდელო, საავტომობილო, რადიო, მოტოსპორტში და სხვა სახეობებში ათეულ ათასობით კაცმა მოიპოვა თანრიგი. ფიზკულტურელთა რიცხვმა იმატა, დოსაафის პირველადი ორგანიზაციები გაძლიერდა, აიგო ახალი ბაზები.

საქართველოს ახალგაზრდობას განსაკუთრებით იტაცებს სპორტის ტექნიკური სახეობები. თბილისის, აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისის, რუსთავის, გორის, ზუგდიდის, ახალციხის, თელავის, სხვა ქალაქებისა და რაიონების დოსაафის ორგანიზაციებში, სექციებსა და წრეებში, რადიო, საზღვაო სპორტულ და სამოდელო კლუბებში ათასობით ჭაბუკი და გოგონა საუკეთესო სპეციალისტების ხელმძღვანელობით მონდომებით ეუფლება საყვარელ სახეობებს, სწავლობს გემების, თვითმფრინავების, ავტომობილების მოდელების აგებას, მანქანის, მოტოციკლის, კარტინგის, თვითმფრინავის მართვას, პარაშუტით ხტომას, იწვრთობა „მელაზე ნადირობაში", რადიოგრამების მიღება-გადაცემაში. თავიანთ ცოდნას ისინი სპარტაკიადებში ამოწმებენ.

წლეულსაც ასე იყო. საკავშირო სპარტაკიადის წინ მოეწყო რესპუბლიკური სპარტაკიადა, რომელმაც საუკეთესონი შეარჩია. საკავშირო ტურნირში საქართველოს ნაკრებმა საერთო გუნდურ ჩათვლაში V ადგილი მოიპოვა, IV სპარტაკიადაში კი ჩვენი წარმომადგენლები VII ადგილზე გავიდნენ.

ვიდრე სპარტაკიადაში საქართველოს გუნდების მაჩვენებლებზე ვილაპარაკებდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ დოსაафის რესპუბლიკურ კომიტეტს ამ წარმატებაში ყველაზე მეტად რესპუბლიკური სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტი, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო, ავტო-მოტოსპორტის ფედერაცია და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ხელმძღვანელობა დაეხმარნენ. მწვრთნელებმა და სპორტსმენებმა ამ მხარდაჭერას გაორკეცებული მეცადინეობით უპასუხეს და საკავშირო სპარტაკიადის ბევრ სახეობაში მაღალი მაჩვენებლებიც მოიპოვეს: სამ სახეობაში გუნდური ჩემპიონობა ხვდათ, პირად შეჯიბრებებში კი ათობით მედალი დაისაკუთრეს.

რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრებ გუნდებს საერთო კომპლექსურ ჩათვლაში ქულები ცალკეულ სახეობებში მოპოვებული 15 საუკეთესო ადგილის მიხედვით ეწერებოდათ, სხვა სახეობებში კი თითო წამახალისებელ ქულას (შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის) იღებდნენ.

საქართველოს დოსაафელებმა 25 სახეობაში სცადეს ძალა, 15 საუკეთესო მაჩვენებლით 214 ქულა მოაგროვეს, 10 წამახალისებელი ქულაც მიიღეს და საბოლოოდ 224 ქულა დაუგროვდათ. მათ წინ გაუშვეს მოსკოვის (267 ქულა), რსფსრ-ს (263), უკრაინისა (252) და ლენინგრადის (231) გუნდები. ლატვიელები 220 ქულით VI ადგილზე გავიდნენ.

ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებს სპარტაკიადის ბოლო სახეობამდე — მოტოკროსამდე VII ადგილი ეკავა. თუ კროსში ბელორუსიელებს მოუგებდნენ, ჩვენები VI ადგილზე გადაინაცვლებდნენ, გამარჯვების შემთხვევაში კი კიდევ ერთი საფეხურით მაღლა აიწევდნენ. და აი, პოლტავიდან, სადაც მოტოკროსში შეჯიბრება გაიმართა, მოვიდა ცნობა: რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში (ქარი და წვიმა), საქართველოს კოლექტივმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ა. კლდიაშვილი, გ. ბეგიაშვილი, ვ. გალუსტაშვილი, ვ. ტკაჩენკო, ა. მანუკიანი, ე. გოლოვანოვა და ა. ნოგაიცევი, პირველობა და ბროლის დიდი თასი დაისაკუთრა, — გვწერდა გუნდის მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ა. კაფაროვი. გუნდის ყველა წევრი (მანუკიანის გარდა. იგი ტრასაზე დაეცა, თუმცა გუნდის ინტერესებისთვის მაინც ბოლომდე იბრძოლა) საპრიზო ადგილზე გავიდა (სპარტაკიადაში I-VI ადგილებზე გასულებს აჯილდოებდნენ).

სპარტაკიადაში თავი ისახელეს, აგრეთვე, საზოგადოებრივი მწვრთნელების მიერ მომზადებულმა გუნდებმა. მაგალითად, კარტინგებით შეჯიბრებაში (რიგა) თბილისის № 5 ავტოსატრანსპორტო კონტორის დისპეტჩერის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ო. ხარაძის მომზადებულმა გუნდმა ჩემპიონობა დაისაკუთრა. გუნდის წევრმა, სსრ კავშირის ნაკრების წევრმა რ. აკოფოვმა 125 კბ სმ მოცულობის მანქანებით იუნიორთა ტურნირში ოქროს მედალი მოიპოვა. ამავე კლასის მანქანებით ვაჟთა შეჯიბრებაში თ. ხიდეშელმა ვერცხლი მიიღო, რ. ზუკაკიშვილი IV ადგილზე გავიდა, ლ. ღლონტი — V, გუნდის მეხუთე წევრი, რ. ხიდეშელი VII ადგილს დასჯერდა.

მსუბუქი ტაქსების № 2 კონტორის მძღოლი, საზოგადოებრივი მწვრთნელი ვ. გლურჯიძე წვრთნიდა ავტომობილისტებს, რომლებმაც ლენინგრადში საგზატკეცილო რბოლაში II ადგილი დაიკავეს. გუნდის წევრებმა საპრიზო ადგილები მოიპოვეს პირად ტურნირშიც: „ვოლგებით" შეჯიბრებაში მ. ლოგინოვი მეორე იყო, ა. მარტიროსიანი — მესამე, გ. თვაური — მეოთხე.

გუნდური II ადგილები დაიკავეს, აგრეთვე, საზოგადოებრივი მწვრთნელების, თბილისის მსუბუქი ტაქსების №2 კონტორის თანამშრომლის ს. ლიომინიდისა და № 3 კონტორის მექანიკოსის მ. მელიქიანის მოწაფეებმა. ლიომინიდი სპიდვეისტებს (ვ. კლიმენტიევი, ვ. გორდეევი, პ. კრასნოვი) წვრთნიდა და წილოვან ბილიკზე მათთან ერთად იბრძოდა.

მელიქიანი ავტორალისტთა გუნდს (გ. გოგინაშვილ — ვ. გრიგორიანის, ვ. სავიცკი — ე. ლოგინოვის, ი. პოლტორაცკი — რ. ძნელაძის ეკიპაჟები) ამეცადინებდა. პირად ტურნირში გორდეევმა მკერდი ვერცხლის მედლით დაიმშვენა, კრასნოვი და გოგინაშვილ — გრიგორიანის დუეტი კი V ადგილებზე გავიდნენ.

სპარტაკიადაში საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვა საქართველოს გემების მოდელისტთა ნაკრებმა (მწვრთნელი — სსრ კავშირის ნაკრების წევრი კ. პაჭკორია). 17 გუნდში გამარჯვება მეტად ძნელი იყო, მაგრამ პაჭკორიას, ა. ჩერქეზიშვილის, გ. ლომსაძის, ა. ნუცუბიძის, ს. მეჟოვის, ა. აბოვიანისა და ა. დეინეკას სწრაფმავალმა, რადიომართვის, სამგზავრო გემებისა და წყალქვეშა ნავების მოდელებმა ყველაზე მეტი ქულა მოაგროვეს. პაჭკორიას სწრაფმავალმა მოდელმა, რომელსაც 5 კბ სმ მოცულობის ძრავა ჰქონდა, სსრ კავშირის რეკორდი დაამყარა და ავტორს ოქროს მედალი მოაპოვებინა. ჩერქეზიშვილიც ჩემპიონი გახდა, ოღონდ „2,5-იანებით" შეჯიბრებაში. რადიოსამართავი მოდელებით ტურნირში ლომსაძემ ვერცხლი დაიმსახურა, ტურბოხრახნიანი მოდელებით ასპარეზობაში ბედმა აბოვიანს გაუღიმა: ბრინჯაოს მედალს დაეპატრონა. ნუცუბიძემ რადიოსამართავი მოდელით ფიგურულ სვლაში VI ადგილი მოიპოვა. ასეთივე წარმატება ხვდა წილად მეჟოვის სამგზავრო გემის და დეინეკას წყალქვეშა ნავის მოდელებსაც.

რადიომრავალჭიდელებმა (მწვრთნელი კ. ირემაშვილი), მოტომრავალჭიდელებმა, ავტომრავალჭიდელებმა (საზოგადოებრივი მწვრთნელები — ტაქსების № 2 კონტორის მძღოლები თ. შალიბაშვილი და გ. დგებუაძე) IV და V ადგილები მოიხვეჭეს. შვეულმფრენით მოასპარეზეებმა (მწვრთნელი გ. პოკროვსკი) V ადგილი დაიკავეს, ულტრამოკლე ტალღაზე რადიოკავშირის ოსტატებმა (საზოგადოებრივი მწვრთნელი — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საამქროს უფროსი გ. გალატი) — VI.

ჩვენი რესპუბლიკის ნაკრების წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს, აგრეთვე, ავტოკროსმენებმა, სამხედრო-გამოყენებითი მრავალჭიდის ოსტატებმა, პარაშუტისტებმა და ტყვიის მსროლელებმა, რომლებიც გუნდურ ჩათვლაში VII ადგილებზე გავიდნენ.

ჩვენ პირადი შეჯიბრების ბევრი პრიზიორი დავასახელეთ, მაგრამ არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ შ. ირემაშვილი, რომელიც ქვეყნის ჩემპიონი გახდა რადიომრავალჭიდში იუნიორთა შორის. ამ სახეობაში ვაჟთა ტურნირის მეორე პრიზიორია მ. სადუკოვი. ავტომრავალჭიდში ვერცხლის მედალი მიიღო ვ. ლევშინმა, მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლელა სროლაში III ადგილზე გავიდა ლ. ცქიტიშვილი, ვ. ბაზიაკი (საზღვაო-სამოტორო სპორტი) მეოთხე იყო. ტყვიის მსროლელებმა ი. ციციშვილმა და მ. ჟამურაშვილმა, რადიომრავალჭიდელმა ა. მოსკვინოვმა და „მელაზე მონადირე" ვ. შალიკიანმა, ბაზიაკის თანამოსაქმეებმა ვ. კალფამ და ა. გონჩარენკომ V ადგილები დაიმსახურეს. დ. ლასარეიშვილი და ს. ოსტაპჩუკი საზღვაო-სამოტორო სპორტში VI ადგილებზე გავიდნენ.

რა თქმა უნდა, ნაკრების ძირითად ბირთვს თბილისელები შეადგენდნენ, მაგრამ გუნდში მათს მხარდამხარ იბრძოდნენ სოხუმის, ბათუმის, თელავის, რუსთავის, ქუთაისისა და სხვა სპორტსმენები, რასაც ვერ ვიტყვით სამხრეთ ოსეთის, ზუგდიდის, ახალციხისა და სხვა ორგანიზაციებზე.

საქართველოს გუნდები განსაკუთრებით სუსტად მოემზადნენ წყალქვეშ სწრაფცურვაში (მწვრთნელი ე. ახუბა), ავტოსამოდელო სპორტში (თ. ჭუბაბრია), „მელაზე ნადირობაში" (გ. მაილოვი). ამ სახეობებში ისინი შესაბამისად XIV, XIII და XII ადგილებზე გავიდნენ.

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს საგზატკეცილო და საიპოდრომო მოტორბოლის წარმომადგენელთა დაბალი მაჩვენებლები (X ადგილები). გუნდების მწვრთნელი და მონაწილე, ცნობილი სპორტსმენი კ. ცალქალამანიძე, რომელმაც შარშან ოქროსა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვა, თავის მოვალეობას გულგრილად მოეკიდა, რის გამოც კარგი ტრადიციების კოლექტივმა მისთვის შეუფერებელი ადგილი დაიკავა.

მეტს ელოდნენ ავიამოდელისტებისგანაც (მწვრთნელი ი. ტოკარევი), რომლებიც VIII ადგილზე გავიდნენ. მოტობურთელთა (მწვრთნელი ნ. შონია) X ადგილი არასახარბიელო შედეგია, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენში ეს სახეობა ახალი ხილია.

სამ სახეობაში — საპლანერო, სათვითმფრინავო და წყალქვეშა სპორტში საქართველოს გუნდები არ გამოდიოდნენ.

სპარტაკიადამ ცხადყო, რომ საქართველოში სპორტის ტექნიკური სახეობების განვითარებისთვის მეტი შესაძლებლობა არსებობს, ოღონდ სათანადო მხარდაჭერაა საჭირო. რესპუბლიკაში არა გვაქვს სპიდვეის ბაზა, საგზატკეცილო რკალური ავტო და მოტორბოლის ტრასები. მართალია, განზრახულია ეს ბაზები რუსთავში აიგოს, მაგრამ ჯერჯერობით საქმეს სასიკეთო პირი არ უჩანს.

რაიონების დოსაафის ორგანიზაციებს უფრო მეტი მუშაობა მართებთ, რათა საქართველოს ნაკრებს ხარისხიანი შევსება მისცენ.

ამას წინათ დოსაафის რესპუბლიკურმა კომიტეტმა სპარტაკიადის შედეგებზე იმსჯელა. ისინი, ვინც შეჯიბრებებში თავი გამოიჩინა, დააჯილდოვეს, ჩამორჩენილები გააკრიტიკეს და გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორების გზები დასახეს.

**თ. გელაშვილი.**







[illegible]

### გორი

რაიონის 15 გუნდი მონაწილეობდა საფეხბურთო თასის გათამაშებაში. პრიზი წილად ხვდა სკრის მეხილეობის საცდელი სადგურის გუნდს, რომელმაც ფინალში დაამარცხა ზელდუღლეთის კოლმეურნეობის ნაკრები.

**ი. თევდორაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მწვრთნელები აზრებს გვიზიარებენ

დასასრული

● არის თუ არა მოსალოდნელი „დინამოს" შემადგენლობაში რაიმე ცვლილება?

— ცვლილებები უკვე მოხდა და საკმაოდ დიდიც, თუმცა ძირითადი ბირთვი ჯერჯერობით უცვლელია. გუნდში ახალგაზრდა კალათბურთელებიც მოვიდნენ, მაგრამ, მოგეხსენებათ, მარტო ახალგაზრდული შემართება ისეთი დიდი მნიშვნელობის ტურნირში, როგორიც საკავშირო ჩემპიონატია, არაფერი ბედენა იქნება, თუ მას მოკავშირედ არ ეყოლება ვეტერანთა „დამჯდარი ჭკუა" და გამოცდილება. ერთი სიტყვით, ვეტერანთა და ახალგაზრდობის კავშირმა ადრე თუ გვიან თვისობრივად ახალი გუნდი უნდა მოგვცეს.

● თქვენ უკვე რამდენიმეჯერ ახსენეთ ნიჭიერი, პერსპექტიული ახალგაზრდები. კონკრეტულად ხომ არ დაგვიხასიათებთ მათ, ან ზოგიერთს — განსაკუთრებით გამორჩეულს.

—რა დახასიათება სჭირდებათ ახალგაზრდებს? ძალა, სითამამე. მონდომება მათ უხვად აქვთ, გამოცდილება და სიბრძნე უკვე დროის საკითხია. კარგი შევსება მივიღეთ ქუთაისიდან დ. მაღალთაძის სახით. პერსპექტიული კალათბურთელები არიან სოხუმელები ა. სალაყაია და გ. ჯგერენაია.

● სასიამოვნოა, როცა რესპუბლიკის საუკეთესო გუნდი შევსებას რაიონებიდან იღებს. ეს კალათბურთის ფართო გეოგრაფიასა და პოპულარობაზე მეტყველებს.

— მე ასე ვიტყოდი: მადლობის მეტი რა გვეთქმის ს. თორთლაძისა და ა. სედოვის მიმართ. პირველი ნაყოფიერად შრომობს ქუთაისში, მეორე — სოხუმში. სამწუხაროდ, ყველგან ასე როდია. განსაკუთრებით გასაკვირი კი ისაა, რომ თბილისი ჩვენს უძლიერეს კლუბებს მხოლოდ ეპიზოდურად აძლევს სრულფასოვან შევსებას.

● საკავშირო ჩემპიონატი წლეულს ახლებურად ტარდება. რაში გამოიხატება ეს სიახლე, ყველამ კარგად ვიცით — ტურნირში მონაწილე თორმეტივე გუნდს ჰყავს დუბლიორთა კოლექტივები, რომლებიც დამოუკიდებელ ჩემპიონატში იასპარეზებენ. კარგია ეს თუ ცუდი?

— უდავოდ კარგია. დარწმუნებული ვარ, ეს სისტემა ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყანაში კალათბურთის შემდგომ განვითარებას. უწინ სათადარიგო წევრებს სათამაშო დრო არ ჰყოფნიდათ, ახლა კი სპეციალურმა ტურნირმა მათ ფართო ასპარეზი დაუთმო.

● საკავშირო ჩემპიონატის გარდა, ჩვენს კალათბურთელებს გაისად სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაშიც მოუწევთ გამოსვლა. ხომ არ გამოიწვევს ეს ყურადღების გაორებას ერთ-ერთი ტურნირის საზიანოდ?

— ამოცანა, რომელიც საქართველოს კალათბურთელების წინაშე დგას, რა თქმა უნდა, რთულია. მით უმეტეს, საკავშირო ჩემპიონატიდან სპარტაკიადაზე გადასვლა დროის სიმცირის გამო დამატებითი სიძნელეების წინაშე დაგვაყენებს. მაგრამ თავს მხოლოდ იმით ვინუგეშებთ, რომ ანალოგიურ მდგომარეობაში იქნებიან ჩვენი მეტოქეებიც. მორალური სიმშვიდის თვალსაზრისით ეს ერთგვარი კომპენსაციაა.

● რას ფიქრობთ, როგორი იქნება სეზონი თბილისის „დინამოსთვის"?

— ჩემთვის ძნელია ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა, რადგან დიდი ხანი არ არის, რაც გუნდის ხელმძღვანელობა დამავალეს. ისე კი კოლექტივის წევრთა განწყობაზე მოგახსენებთ — ყველანი მონდომებულნი არიან და სჯერათ, რომ წლეულს უკეთ ითამაშებენ.

● ვინ გახდება, თქვენი აზრით, სსრ კავშირის ჩემპიონი?

— გამარჯვების სხვებზე მეტი შანსი სამ გუნდს აქვს: ცსკა-ს, მოსკოვის „დინამოს" და ლენინგრადის „სპარტაკს". დარწმუნებული ვარ, ჩემპიონის ტიტულს ეს კოლექტივები გაითამაშებენ. არმიელთა სიძლიერე შემადგენლობის სტაბილურობაშია. მოსკოვის „დინამომ" თავი მოუყარა ყველაფერ საუკეთესოს, რაც კი რუსეთის ფედერაციის კალათბურთს გააჩნდა. მოსკოვის „დინამოს" დღეგრძელობას შეეწირნენ პერმისა და ვოლგოგრადის საკმაოდ ძლიერი კოლექტივები. ასე რომ, პოტენციით „დინამო" შესაძლოა არმიელებზე წინაც იდგეს. მაგრამ ერთია შემადგენლობის სიძლიერე და სულ სხვაა ორგანულად შეწყობილი და შეხმატკბილებული ანსამბლი. შექმნის „დინამო" ასეთ ანსამბლს — საწადელსაც მიაღწევს. ლენინგრადელთა თამაშის ნახვა ჯერჯერობით ვერ მოვახერხე. ამ შემთხვევაში მთლიანად ვეყრდნობი სპეციალისტთა აზრს, რომლებიც საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევენ ნევისპირელთა ოსტატობას.

## მ. კეკელიძე: „... რათა საწადელს მივაღწიოთ"

● როგორი პერსპექტივებით ხვდება ახალ სეზონს ჩვენი ახალგაზრდობის საყვარელი გუნდი — „ბურევესტნიკი"?

— ამოცანა, რომელსაც კოლექტივი უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებს, უმაღლეს ლიგაში დარჩენაა. წლეულს ეს არც ისე იოლი იქნება, ვინაიდან ახალი დებულების თანახმად ჯგუფს ორი კოლექტივი კი არ დატოვებს, როგორც შარშან ან შარშანწინ, არამედ სამი. ამასთან, დაბალი ლიგიდან უმაღლესში გადასვლის უფლება ორის ნაცვლად ერთ გუნდს მიეცემა. აქამდე ასე თუ ისე ვახერხებდით კრიტიკულ საფეხურზე — X ადგილზე ყოფნას. ახლა იმისთვის, რომ უძლიერესთა რიგებს შემორჩე, საჭიროა, სულ ცოტა, IX ადგილზე გასვლა. როგორც ხედავთ, პირობები საგრძნობლად გართულდა.

● არის თუ არა რაიმე ცვლილება გუნდის შემადგენლობაში?

— არაფერი განსაკუთრებული. დაგვემატა მხოლოდ ვ. ალთაბაევი. რამდენიმე „წვევამდელი" მივიღეთ რაიონებიდან. ეს არის და ეს.

● ახალმოსულთა შორის თუ არიან პერსპექტიული კალათბურთელები?

— საწვრთნელ ვარჯიშებში კარგი შთაბეჭდილება დატოვეს სოხუმელი მწვრთნელის ა. სედოვის მოწაფეებმა ზ. სულავამ და ლ. ოსიამ, აგრეთვე, ონელმა დ. ამბიკაშვილმა. მაგრამ მათი ოსტატობა და მომზადების ხარისხი ჯერჯერობით დუბლიორთა დონეზე დგას. ძირითად შემადგენლობას ისევ ძველებური სტანდარტით მოუხდება თამაში.

● დასამალი არ არის, რომ გუნდი, რომელიც უმაღლეს ლიგაში დარჩენას ისახავს მიზნად, მთელი რიგი სირთულეების წინაშე უნდა იდგეს. რა მიგაჩნიათ მთავარ სიძნელედ?

— ცენტრალური თავდამსხმელის პრობლემა ჩვენი მთავარი და გადაუდებელი საზრუნავია. თანამედროვე კალათბურთში არათუ მაღალ, უბრალო, მიწიერ პრობლემებზეც არ შეიძლება ფიქრი, თუ შემადგენლობაში ერთი ცენტრალური თავდამსხმელი მაინც არ გვყავს 208-210 სმ სიმაღლისა: „ბურევესტნიკის" თავდასხმის ლიდერი ი. ძიძიგური ტანად მხოლოდ ორი მეტრია და, ვინაიდან ფარქვეშ ბრძოლა მას „მარტოობაში" უხდება, იძულებული ვართ ცენტრალური თავდამსხმელის პოსტზე გამოვიყენოთ მასზე უფრო დაბალი ი. პულავსკი. დამერწმუნეთ, ეს კარგი ცხოვრების შედეგი როდია, მაგრამ სხვა გამოსავალი არა გვაქვს.

● გაგვიზიარეთ, თუ შეიძლება, თქვენი მოსაზრება ჩემპიონატის ახალ სისტემაზე.

— ამ სისტემის ერთ-ერთი ავტორთაგანი თავად გახლავართ და, ცხადია, მას ყოველმხრივ მხარს ვუჭერ. წლეულს ლიუბლიანის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ კალათბურთის საკავშირო ფედერაციის წარმომადგენლებთან მქონდა საუბარი ახალი სისტემის თაობაზე. მე მიმაჩნდა, რომ გუნდის წევრთა რაოდენობა 16 კაცამდე უნდა გაზრდილიყო. ფედერაციამ მიზანშეწონილად მიიჩნია შემადგენლობის დაკომპლექტება 18 კალათბურთელით. იქნებ ეს უკეთესიც იყოს. სხვა მხრივ კი დარწმუნებული ვარ, ახალი სისტემა, პირველ ყოვლისა, თვით კალათბურთს მოუტანს სარგებლობას.

● როგორ გამოვლენ, თქვენი აზრით, საქართველოს კალათბურთელები სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში?

— სპარტაკიადებში ჩვენი რესპუბლიკა ტრადიციულად უფრო სუსტად გამოდის, ვიდრე საკავშირო ჩემპიონატებში. ამას, ჩემი აზრით, ერთგვარი გამართლება აქვს. საქმე ისაა, რომ სპარტაკიადების ტურნირებში შემთხვევითობის ელემენტი მეტია. აქ ერთმა გაუთვალისწინებელმა მარცხმა შესაძლოა გამოუსწორებელ შედეგამდე მიგვიყვანოს. სულ სხვა საქმეა საკავშირო ჩემპიონატი, სადაც გუნდს მთელი ტურნირის მანძილზე თავისუფლად მანევრირების საშუალება აქვს მე ასე ვიტყოდი — ჩვენი ხალხის ბუნებას ჩემპიონატების პრინციპი უფრო შეეფერება, ვიდრე სპარტაკიადისა. მაგრამ ეს სრულიადაც არ გვაძლევს უფლებას, რომ ბედს წინასწარ შევურიგდეთ. ჩემი აზრით, რესპუბლიკის ნაკრებს სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში ხუთეულში მოხვედრისთვის ბრძოლის ძალა შესწევს.

● ხომ არ იცით, რა სისტემით ჩატარდება სპარტაკიადაში კალათბურთელთა ტურნირი?

— წინასწარ ამას ვერავინ გეტყვით. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენი კოლექტივი განაცხადებს ტურნირში მონაწილეობის სურვილს. თუ მსურველთა რიცხვი თორმეტზე მეტი იქნა, გუნდები სამ ქვეჯგუფად დაიყოფიან. ქვეჯგუფებში პირველ ორ ადგილზე გასული კოლექტივები ფინალისტთა ექვსეულს შექმნიან... თუ მონაწილეთა რიცხვი იქნება 12 ან ნაკლები, ჩამოყალიბდება 2 ქვეჯგუფი, სადაც 3-3 ფინალისტი გამოვლინდება. თუ მონაწილეობის სურვილს 8 კოლექტივი ან ნაკლები განაცხადებს, ტურნირი წრიული სისტემით ჩატარდება. ასე რომ, ყველაფერი ნათელი იქნება იანვრისთვის, როცა განაცხადების შეტანის ვადა ამოიწურება.

● დავუბრუნდეთ ისევ საკავშირო ჩემპიონატს. თქვენს მძიმე ბრძოლაში, რასაც უმაღლეს ლიგაში დარჩენის სურვილი განაპირობებს, ვის თვლით მთავარ მეტოქეებად?

— რიგის ორივე გუნდს, კიევის არმიელთა კოლექტივსა და, ალბათ, მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის კალათბურთელებს. ეს მართლაც მძიმე ბრძოლა იქნება, მაგრამ თავი არ უნდა დავზოგოთ, ძალა და ენერგია არ უნდა დავიშუროთ, რათა საწადელს მივაღწიოთ. ეს არის არა მარტო ჩვენი, ვიწროსაუწყებო ინტერესები, არამედ მთელი ქართული კალათბურთის მთავარი ამოცანა.

● თქვენი აზრი მომავალ ჩემპიონზე?

— ოქროს მედლებს ალბათ ისევ მოსკოვის არმიელები მიიღებენ. ლენინგრადის „სპარტაკს", თუ შემადგენლობა არ გააძლიერა, გაუჭირდება მათთან ჭიდილი. ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლა თამამად შეუძლია მოსკოვის „დინამოსაც", თუმცა ამ ნიჭიერი კოლექტივის თამაშს სტაბილურობა აკლია.



# ნონა და ნანა

ჩვენი ჭადრაკის დედოფლებით — ნონათი და ნანათი მთელი თბილისი ამაყობს. ნონა გაფრინდაშვილი მსოფლიო ჩემპიონია, ნანა ალექსანდრიამ ყველას აჯობა სსრ კავშირის ტურნირებში და გამორიცხული არ არის, რომ სწორედ ის შეეცილება ნონას დედოფლის გვირგვინს. ორივე მეხუთე კურსის სტუდენტია: ნონა უცხო ენათა ინსტიტუტში სწავლობს, ნანა — თბილისის უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. როგორც ხედავ თ, მათ ბევრი რამ აქვთ საერთო. ამიტომ სახელგანთქმულ მოჭადრაკეებს ერთი და იგივე შეკითხვებით მივმართე. მაგრამ, რადგან ნონა და ნანა სრულიად განსხვავებული ადამიანებიც არიან, მე მათ კიდევ რამდენიმე, თუ შეიძლება ითქვას, პერსონალური შეკითხვაც მივეცი.

● ვინ მიგაჩნიათ მოჭადრაკეებს შორის თქვენს იდეალად და რატომ?

ნონა. მიხეილ ტალი უჩვეულოდ ტემპერამენტიანი მოჭადრაკეა. მისი თამაშის ცქერა უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს ადამიანს. ტალი უმარტივეს პოზიციებშიც კი პოულობს კომბინაციური დარტყმის საშუალებას, ფანტაზიას გასაქანს აძლევს, ეძიებს. მისი თამაში გამუდმებული იმპროვიზაციაა!

ნანა. ვიქტორ კორჩნოი და მიხეილ ტალი. პირველი დაცვით სტილს ანიჭებს უპირატესობას და მეტოქეს იწვევს საბრძოლველად. მეორეს მუდამ იერიში სწყურია, მუდამ ახლისა და მოულოდნელის ძიებაშია.

● როგორ ფიქრობთ, არსებობს თუ არა სხვაობა ქალისა და კაცის საჭადრაკო აზროვნებაში?

ნონა. ჰმ... მე ხშირად მითამაშია ჭადრაკი ვაჟებთან ერთად და უნდა გითხრათ, რომ მათთან ბრძოლა შეიძლება. მაგრამ ჯერჯერობით წინ მაინც ვაჟები არიან. ეს უდავოა. ან რა გასაკვირია, ისინი დიდი ხანია თამაშობენ ჭადრაკს, ჰქონდათ დაოსტატების დრო... თუმცა ჩვენს ქვეყანაში ძლიერ მოჭადრაკე ქალთა რიცხვი თანდათან იზრდება და, ვფიქრობ, მალე დადგება „ანგარიშის გასწორების" ჟამი!

ნანა. სხვაობა? ჭადრაკი ლოგიკაა, და შეიძლება ჩვენ, ქალებს, ლოგიკამ ხანდახან გვიღალატოს კიდეც... საერთოდ, ვაჟები ჯერჯერობით ჩვენზე ძლიერად თამაშობენ. ამ ამბავს, ჩემი აზრით, ის განაპირობებს, რომ არა გვაქვს ქალთა ჭადრაკის საფუძვლიანად მომზადებული სკოლა: ერთ დროს ტურნირებში მხოლოდ ვაჟები მონაწილეობდნენ, ჩვენ კი გულშემატკივართა როლს გვაჯერებდნენ.

● როდის დგება თქვენთვის ყველაზე რთული მომენტი საჭადრაკო პარტიაში?

ნონა. ასეთი სიტუაცია სხვადასხვა დროს იქმნება. ძნელია ერთ-ერთი მომენტი დაასახელო. ჩემთვის ყველაზე ძნელი თამაში იყო მ. ლაზარევიჩთან შეხვედრა პრეტენდენტთა ტურნირში.

ნანა. ყველაზე უსიამოვნო ის მომენტია, როცა რაღაცაში ცდები, როცა შენი ჩაფიქრებული პოზიცია შეხვედრის მსვლელობას არ შეეფარდება. ასე დამემართა, მაგალითად, როცა მეტოქის გავლენის ქვეშ მოვექეცი, ის კი ღრმა ცაიტნოტში იყო. ავჩქარდი და მოგებული შეხვედრა კინაღამ წავაგე.

● მითხარით, რომელიმე ფიგურა განსაკუთრებით თუ გიყვართ?

ნონა. მხედარი ჩემი სიყვარულია. მინდოდა მეთქვა, რომ ძალიან მიყვარს ამ ფიგურით ენდშპილში თამაში. მართალია, მწვრთნელები ამბობენ, კუ გაცილებით უფრო ძლიერიაო, მაგრამ პრაქტიკამ დაადასტურა, რომ მე ამაოდ არ მიყვარს მხედარი.

ნანა. მე მგონია, ყველას მაინც ლაზიერი მირჩევნია. ამ ფიგურით შეიძლება მწვავე სიტუაციების შექმნა, გამარჯვების მოპოვება.

● შეგიძლიათ, ვთქვათ, ავტობუსით მგზავრობის დროს გონებაში ჭადრაკის პარტია გაითამაშოთ ძლიერ მეტოქესთან?

ნონა. ვერ გეტყვით, არ მიცდია. რასაკვირველია შესაძლებელია რაღაც ვარიანტებზე იფიქრო, მაგრამ გონებაში მთელი პარტიის თამაში და ისიც ძლიერ მეტოქესთან?.. ძალიან მეეჭვება.

ნანა. დიახ. მე მითამაშია გონებაში — ჩემს მწვრთნელთან და ტანია ზატულოვსკაიასთან, თუმცა, არა ავტობუსში.

● რა გეგმები გაქვთ ჭადრაკში?

ნონა. ერთადერთი — მინდა კარგად მოვემზადო 1972 წლის მატჩისთვის, რათა პრეტენდენტს ყოველმხრივ შეიარაღებული შევხვდე.

ნანა. მინდა დეკემბერში წარმატებით ვითამაშო ევროპის პირველობაში, რომელიც იუგოსლავიის ქალაქ ვრნიაჩკა-ბანიაში გაიმართება.

პერსონალურ შეკითხვებს, რომლებითაც ორ ცნობილ მოჭადრაკეს მივმართე, თითქმის არავითარი კავშირი არა აქვთ ჭადრაკთან.

## ნონა გაფრინდაშვილი:

● კმაყოფილი ხართ თქვენი თავისა?

—ვერ გეტყვით, რომ ეს გამუდმებული განცდა იყოს. დროდადრო კი კმაყოფილი ვარ.

● ეს შეკითხვა ალბათ მთლად გონივრული არ მოგეჩვენებათ, მაგრამ რაკი ფანტაზიაც მოვიშველიეთ... წარმოიდგინეთ, რომ ოსტაპ ბენდერთან გიწევთ თამაში...

— ო, უსათუოდ საგანგებოდ მოვემზადები. გახსოვთ, ოსტაპმა ეტლი რომ მოიპარა დაფიდან? მე დიდოსტატ ბენდერის ამ თვისებას გავითვალისწინებდი და ყოველი შემთხვევისთვის რამდენიმე ფიგურას წინასწარ მოვიმარაგებდი.

● რა აზრისა ხართ იმ ამბავზე, რომ ზოგიერთ სახელმწიფოში ქალები ფეხბურთს თამაშობენ?

— თუ კი ეს სიამოვნებას ანიჭებთ, ითამაშონ. ეგეც არ იყოს, სხვა რაღა დაგვრჩენია ქალებს, თუ კაცებს თანდათან ავიწყდებათ ფეხბურთის თამაში?

● ყოველდღიურ ცხოვრებაში თუ ჩავარდნილხართ ცაიტნოტში?

—მას შემდეგ, რაც ვაჟი შემეძინა, გამუდმებულ ცაიტნოტში ვარ!

## ნანა ალექსანდრია:

● ხომ არ ნანობთ, ქალად რომ გაჩნდით?

—არა. მე მომწონს ქალის პრივილეგიური მდგომარეობა. თუმცა, რა ვიცი, შეიძლება არც კაცები გრძნობენ თავს მაინცდამაინც დაჩაგრულად.

● წარმოიდგინეთ, რომ მოულოდნელად გვარი შეიცვალეთ. გახდით, ვთქვათ, კაპაბლანკა ან ლასკერი...

—გვარის გამოცვლა ბევრს არაფერს შეცვლიდა, რადგან, სულ ერთია, ჭადრაკს ალექსანდრიას დონეზე ვითამაშებდი. მაგრამ ნანა ლასკერი ან კაპაბლანკა რომ ვიყო, შეიძლება საქართველოში უფრო სწრაფად შექმნილიყო საჭადრაკო გაზეთი.

● როგორ უყურებთ ქალთა მოდის სიახლეებს?

—მე, შეიძლება ითქვას, კონსერვატიული ადამიანი გახლავართ. ახალ მოდას ძალიან ნელა ვეჩვევი. საერთოდ, ვცდილობ მოვერიდო ყველაფერს როგორც მაქსიმალურს, ისე მინიმალურს.

● როგორ მიგაჩნიათ: ცხოვრებაში ბევრს მიაღწიეთ?

—სპორტი მთელი ცხოვრება არ არის, მით უმეტეს, თუ არც ისე ბევრი რამ გაქვს მოპოვებული.

გ. პონსენი.

(„ნედელია", № 46).

• • •

სურათზე: ნ. ალექსანდრია (მარცხნივ) და ნ. გაფრინდაშვილი საჭადრაკო პარტიას არჩევენ.

მ. ზარგარიანის ფოტო.

# საღამო საჭადრაკო კლუბში

თბილისის საჭადრაკო კლუბში გაიმართა საღამო, რომელიც სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის მ. შიშოვის დაბადების 60 წლისთავს მიეძღვნა.

საღამო გახსნა რესპუბლიკური საჭადრაკო კლუბის დირექტორმა, საერთაშორისო არბიტრმა ლ. წეროძემ.

შიშოვის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ დამსწრეთ მოუთხრო სპორტის ოსტატმა ა. ბუსლაევმა. იუბილარს გულთბილად მიესალმნენ: დიდოსტატი ბ. გურგენიძე, თბილისის საჭადრაკო ფედერაციის თავმჯდომარე ა. ჯაკობია, ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის სახელით — სპორტული ჟურნალისტი ო. ნოზაძე, თბილისის უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლის დირექტორი ვ. კინკაძე, განათლების სამინისტროს სახელით — სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. მერკვილაძე, რომელმაც იუბილარს სახალხო განათლების წარჩინებულის ნიშანი გადასცა, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი, ამიერკავკასიის რკინიგზის მხატვრული სახლის აღსაზრდელთა სახელით — ნ. ვაჩეიშვილი, ჭადრაკის ცნობილი ისტორიკოსი მ. ვადბოლსკი, იუბილარის მოწაფეები ა. ვახტანგიშვილი და მ. ბაღდადიშვილი.

დასასრულს სიტყვით გამოვიდა შიშოვი, რომელმაც დიდი მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას მისი შრომის ესოდენი დაფასებისთვის.

შემდეგ მოეწყო ელვისებური ტურნირი ვეტერანებისა და ახალგაზრდების მონაწილეობით. გაიმარჯვა სპორტის ოსტატმა ე. უბილავამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ფიგურისტები ყინულზე გამოდიან

უსტ-კამენოგორსკის (აღმოსავლეთი ყაზახეთი) სპორტის სასახლემ სტუმართმოყვრულად გაუღო კარი ნორჩ ფიგურისტებს, რომლებიც ზაფხულის არდადეგების შემდეგ კვლავ შეუდგნენ ყინულზე ვარჯიშს.

სპორტის სასახლეში გამოცდილი მწვრთნელების ხელმძღვანელობით 5-დან 20 წლამდე ასაკის 200-ზე მეტი ფიგურისტი იწვრთნება და ოსტატობას სრულყოფს.

• • •

სურათებზე: მარცხნივ — სპორტის სასახლის დიდ სარბიელზე მორიგი საწვრთნელი მეცადინეობა ტარდება; მარჯვნივ — უსტ-კამენოგორსკის სპორტის სასახლე.

ი. კუდინის ფოტო (ტასს-ი).



## ჩვენი მოკლე რეპორტაჟები

## მანეჟის „ოლიმპიური" მორთულობა

**მოსკოვი,** 20 ნოემბერი. ძმები ზნამენსკების სახელობის ზამთრის მძლეოსნური მანეჟის სარბენ ბილიკზე დღეს რეკორტანის ბოლო მეტრები დაიგო. რეკორტანის საფარის საერთო ფართობი მხტომელთა და მტყორცნელთა სექტორების ჩათვლით მეოთხედი ჰექტარია. სწორედ ასეთ ხელოვნურ „ნიადაგზე" იასპარეზებენ მძლეოსნები მიუნხენის მომავალ ოლიმპიურ თამაშებში.

მოსკოვის მანეჟი ახლა ერთ-ერთი საუკეთესო გახდა ევროპაში — იგი თავისი მოწყობილობით უკვე უმაღლეს მსოფლიო სტანდარტებს უპასუხებს. 200-მეტრიან ვირაჟებიან ოვალში სამი სარბენი ბილიკია, მანეჟის შუაგულში — ყველა სახეობის მხტომელთა და ბირთვის მკვრელთა სარბიელი. მისის კედლის გასწვრივ 140-მეტრიანი სწორია, სადაც სპრინტერები იასპარეზებენ, 110 მეტრზე თარჯრბენში შეეჯიბრებიან ერთმანეთს.

რეკორტანი დააგეს „კარლ ფოიშტი და შვილების" (გფრ) ფირმის სპეციალისტებმა. სწორედ ამ ფირმას ევალება მომავალი ოლიმპიადის სტადიონების მოწყობა.

დეკემბრის დამდეგს საბჭოთა კავშირის საუკეთესო სპორტსმენები ამხანაგურ შეჯიბრებაში მოსინჯავენ მანეჟის ახალ საფარს.

## სოფლის სპორტსმენთა დასახმარებლად

**ირკუტსკი, 20 ნოემბერი.** ოლქის რაიონებში ათდღიან რეისს შეუდგა სპეციალური სააგიტაციო ავტობუსი, რომელიც პროფკავშირების საოლქო საბჭომ გამოჰყო. ამ მანქანით სოფლის მშრომელებს ეწვია გამოცდილ ირკუტსკელ სპორტსმენთა, მწვრთნელთა, სპორტის ვეტერანთა ბრიგადა. მათი სტუმრობის მიზანია პრაქტიკული დახმარება გაუწიონ „უროჟაის" ძირეულ კოლექტივებს, მასობრივ შეჯიბრებებში მონაწილეობისთვის მიიზიდონ შორეული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ახალგაზრდობა.

საციგურაო სპორტის საოლქო ფედერაციის თავმჯდომარე, სპორტის ოსტატი მ. ვასილიევი მწვრთნელთა ინსტრუქტაჟს ჩაატარებს.

## ფიშერს წაგება ელის

პალმა დე მალიორკა, 20 ნოემბერი. მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირში დღეს მოეწყო IX ტური.

ისევე როგორც წინა ტურში, პარტიების ნახევარი — ექვსი შეხვედრა, ახლაც ყაიმით დამთავრდა: ვ. სმისლოვი — ო. პანო (არგენტინა), მ. ტაიმანოვი — ლ. პოლუგაევსკი, ი. რუბინეტი (არგენტინა) — ბ. ივკოვი (იუგოსლავია), ტ. უიტუმენი (მონღოლეთი) — დ. მინიჩი (იუგოსლავია), მ. ფილიპი (ჩეხოსლოვაკია) — რ. ნარანია (ფილიპინები), ვ. ჰორტი (ჩეხოსლოვაკია) — მ. მატულოვიჩი (იუგოსლავია).

ე. გელერმა 44-ე სვლაზე სძლია ვ. ულმანს (გდრ) და 5,5 ქულითა და 1 გადადებული პარტიით ლიდერობა იგდო ხელთ.

ე. მეკინგმა (ბრაზილია) დაამარცხა ე. ხიმენესი (კუბა).

პირველი მარცხი ელის ამერიკელ დიდოსტატს რ. ფიშერს: გადადებულ პარტიაში ბ. ლარსენთან (დანია) მას ფიგურა აკლია და მიმომხილველთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ ამერიკელი თამაშის განუახლებლად დანებდება.

კიდევ ერთი ქულა ჩაიწერა ლარსენმა. მას დანებდა ულმანი VI ტურის გადადებულ პარტიაში.

დ. სათლზ (კანადა) — ლ. პორტიში (უნგრეთი), რ. ჰიუბნერ (გფრ) — ს. რეშევსკისა (აშშ) და უ. ადისონ (აშშ) — ს. გლიგორიჩის (იუგოსლავია) პარტიები გადაიდო.

ხვალ მოეწყობა გადადებული პარტიების დამთავრება, რაც სიცხადეს შეიტანს გათამაშების ცხრილში.

## ცხოვრობს ამქვეყნად უცნაური ხალხი...

აი, ერთ-ერთი მათგანი — ლუი ალიონე. მართლაც მხნე შესახედაობა აქვს — მხიარული თვალები, გადაგრეხილი ულვაშები, ჩაფხუტი. ეს კაცი, არც მეტი, არც ნაკლები, ჩვენი საუკუნის ავიატორია, ერთ-ერთი მათგანი, (გახსოვთ ძველი კინოქრონიკა?) გაფრენის შემდეგ „ფარმანის", „მორანისა" თუ „ვუაზენის" ფრთებიდან პირდაპირ აღტაცებულ ბრბოში რომ ხტებიან. ჟურნალ „ლაიფის" კორესპონდენტმა ფრანგი დაზღვევის აგენტი წლეულს გადაიღო სარეკორდო გაფრენის შემდეგ. იმ დროს, როცა „აპოლონ-13" დედამიწისკენ ბრუნდებოდა, ლუი ალიონე პარიზის მახლობელ აეროდრომზე მონგოლფიერით სარეკორდო გაფრენისთვის ემზადებოდა.

შაბათობით ლუი ალიონე ცხელი ჰაერით ბერავს ნეილონის უზარმაზარ ბურთს და მიფრინავს.

— არ ვიცი, საით წამიღებს ქარი, — გვიამბობს ალიონე. — არც მინდა ვიცოდე. ნაცნობი მარშრუტით არც ვიფრენდი. იქ, ზევით, ისეთი სიწყნარეა, ისეთი სიმშვიდე...

ალიონემ ახალი რეკორდი დაამყარა: ჰაერში მონგოლფიერით 2 საათსა და 15 წუთს გაძლო. მასვე ეკუთვნის რეკორდი ფრენის სიშორეში — 54 კილომეტრი.

მონგოლფიერი მამაცი სპორტსმენის ერთადერთი გატაცება არ გახლავთ. ამჟამად ალიონე მუშაობს ახალ საფრენ აპარატზე მქნევარა ფრთებით და მალე გამოცდის კიდეც მას.

ჯერჯერობით კი ლუი ალიონე ისევ უწინდებურად ბერავს თავის ფერად ნეილონის საჰაერო ბურთს და არხეინად მიფრინავს ზევით, იქით, სადაც სიმყუდროვე, სიწყნარე და სიმშვიდე ეგულება...

* * *

სურათებზე: მფრინავი და დაზღვევის აგენტი ლუი ალიონე; მონგოლფიერი ჰაერში.

(„კომსომოლსკაია პრავდა", № 265 (13946).





## ჭადრაკი

● ტალინი, 20 ნოემბერი. აქ მიმდინარეობს სსრ კავშირის ჩემპიონატი ასუჯრიან შაშში. III ტურში განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მსოფლიო ჩემპიონის ანდრეიკოსა და მინსკელი შაველის შეხვედრამ. რიგელმა შეძლო მეტოქის დაცვითი ზღუდეების გარღვევა, მისი შაშები ორ ჯგუფად გაყო და შაველი იძულებული გახდა 53-ე სვლაზე საათი გაეჩერებინა. სსრ კავშირის ჩემპიონმა ახალგაზრდათა შორის, 15 წლის მეშჩანსკიმ ყაიმს მიაღწია მსოფლიოს ორგზის ჩემპიონთან შჩოგოლევთან. ასევე ყაიმით დამთავრდა კიეველი დიდოსტატის კუპერმანის პარტია ტაშკენტელ დავიდოვთან. ოგოროდნიკოვმა მოუგო გარშტს, განტვარგმა — გოლოსუევს, მ. კორხოვმა — რატსს, მერინმა — ე. კორხოვს, კაპლანმა — შაუსს, ციპესმა — მოგილიანსკის. 3 ტურის შემდეგ 2,5-2,5 ქულით ლიდერობენ ანდრეიკო, მერინი და მ. კორხოვი.

## ფეხბური

◆ მადრიდი, 21 ნოემბერი. კვირადღეებში გამართული მატჩები ოჯახის დამანგრეველია, — ასეა მოტივირებული ესპანეთის პარლამენტის წევრის პალასიოსის მოთხოვნა საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების შაბათობით გამართვის თაობაზე.

## გამოცდილების გაზიარების მიზნით

სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და სომხეთის კომპარტიის 50 წლისთავი საქართველომაც აღნიშნა. ზეიმის დღეებში თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართა ადგილობრივი და ერევნის განათლების განყოფილების მძლეოსნობის ბავშვთა სპეციალიზებული სპორტსკოლების ტრადიციული შეჯიბრება, რომელშიც 1955-56 წლებში დაბადებული სპორტსმენები მონაწილეობდნენ.

სტუმრებმა კარგად მომზადებული ბავშვები ჩამოიყვანეს. მათ ასპარეზობის პროგრამით გათვალისწინებული 29 სახეობიდან თერთმეტში I ადგილები დაისაკუთრეს, მაგრამ საბოლოო ჯამში უპირატესობა მაინც მასპინძელთა მხარეს იყო.

ორი სპეციალური პრიზიდან, რომლებიც საუკეთესო შედეგების მქონე სპორტსმენებისთვის იყო დაწესებული, ერთი 400 მეტრზე გოგონათა შორის გამარჯვებულმა ერევნელმა ნ. პლეშკოვამ დაისაკუთრა. ეს დისტანცია მან 1 წუთსა და 3,4 წამში გაირბინა და თბილისელ ნ. სუდარუკოვას, რომელმაც II ადგილი დაიკავა, 0,3 წამი მოუგო.

ჭაბუკებში პრიზს დაეუფლა დ. მელაძე 100 მეტრზე რბენაში (11,3) გამარჯვებით. რ. მკრტჩიანი (ერევანი) მას 0,5 წამით ჩამორჩა. ეს მელაძის ერთადერთი წარმატება არ იყო. თბილისელმა ჭაბუკმა ყველას აჯობა 200 მეტრზე რბენასა (23,7) და 4×100 მეტრზე ესტაფეტაშიც.

მასპინძელთა შორის თავი გამოიჩინა, აგრეთვე, თ. ლოლაძემ. ეს გოგონა საუკეთესო იყო 100 (13,1) და 200 (27,2) მეტრზე რბენაში და 4×100 მეტრზე ესტაფეტაში. 200 მეტრზე რბენაში ლოლაძემ II თანრიგის ნორმატივიც შეასრულა.

თბილისელ ნორჩ მძლეოსანთა შედეგებიდან აღსანიშნავია, აგრეთვე, სიგრძეზე ხტომაში გამარჯვებული ვ. შმაკოვას (497 სმ), სიმაღლეზე ხტომაში გ. შუბინისა (175 სმ) და უროს ტყორცნაში გ. ელიაშვილის (48,20) მაჩვენებლები.

სტუმრებში თავი ყველაზე მეტად ისახელეს ა. ოგანესიანმა (400 მეტრზე რბენაში — 53,4) და ს. სააკიანმა (110 მ თარჯრბენში — 16,3).

მეგობრობის მატჩის მთავარი მიზანი გამოცდილების ურთიერთგაზიარება იყო.

დ. გელაშვილი.




◆ დასავლეთ ბერლინი, 21 ნოემბერი. მოსკოვის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდი აქ ადგილობრივ „ჰერტასთან" დამარცხდა — 2:4 (1:1). მოსკოველთაგან გოლები გაიტანეს: მატჩის დასაწყისში — ეშტრეკოვმა, თამაშის მიწურულს — კოზლოვმა.

◆ პოზნანი, 21 ნოემბერი. ვილნიუსის „ჟალგირისის" ფეხბურთელთა გუნდმა ამხანაგური მატჩი მოუგო ადგილობრივ „ოლიმპიას" — 2.0 (1:0). ორივე ბურთი გაიტანა ვეიტკუსმა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 13330